

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე პროექტი გამომდინარეობს კანონპროექტიდან „სავალდებულო მფლობელის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც 2009 წლის 1 იანვრამდე გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას დაექვემდებარება მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც ხორციელდება „სავალდებულო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/ გადაზიდვები და ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნია.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია 2009 წლის 1 იანვრამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებების (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა) მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ვადის გაგრძელება და კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, 2009 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებითაც ხორციელდება „სავალდებულო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/ გადაზიდვები და რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის დაკავშირებული დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული არ იქნება ფინანსური ცვლილებები ან მდგომარეობის გაუარესება იმ პირობათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს წარმომადგენლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

